ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 825

ქ. თბილისი «21» 12 2015 წ.

შემსყიდველი – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, წარმოდგენილი სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელის **თენგიზ ნასარიძის** სახით
მისამართი: 0112, ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქ. №20.
სკ. 204900483.
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900 სახელმწიფო ხაზინა, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი TRESGE22

მიმწოდებელი – სს "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია", სკ 202161098
მისამართი: ქ. თბილისი, 0162, ჭავჭავაძის გამზირი №74ბ
ხელმძღვანელი: გენერალური დირექტორი **ვასილ ხორავა**
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №GE48TB1100000018467453, სს "თიბისი ბანკი"-ის მარჯანიშვილის ფილიალი კოდი TBCBGE22

იმის გათვალსიწინებით, რომ შემსყიდველმა 2015 წლის ნავთობპროდუქტების (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის CON150000010 სატენდერო დოკუმენტაციის 4.8 პუნქტის შესაბამისად, ჩაატარა შესყიდვის ელექტრონული პროცედურა **GEO150000**870, საწვავის "ევრო რეგულარი"-ს შესყიდვის მიზნით, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის "20²" მუხლის საფუძველზე
შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი – ევრო რეგულარის („ევრო.რეგულარი") მარკის ბენზინი (კლასიფიკატორის კოდი - 09132000)**

1.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და დანართი №1-ის (საქონლის დასახელება, რაოდენობა, მიწოდების პირობები და ფასები) შესაბამისად მიაწოდოს შემსყიდველს ევრორეგულარის საწვავი, სითხის სახით (შემდგომში საქონელი), შემსყიდველის ბაზებში.

2. **ხელშეკრულების ღირებულება**

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 153000.00 (ასორმოცდაცამეტი ათასი) ლარს და მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან და შემსყიდველისათვის საკუთრებაში გადაცემასთან, მათ შორის, კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელსა და სახდელს, მათ შორის ტრანსპორტირების ხარჯს.

2.1.1. საწვავის ჯამური ღირებულება შეადგენს 150000 (ასორმოცდაათი ათასი) ლარს;
2.1.2. საწვავის ტრანსპორტირების ღირებულება შეადგენს 3000.00 (სამიათასი) ლარს

2.2. საქონლის ერთეულის ფასი და რაოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი №1-ით (საქონლის დასახელება, რაოდენობა, მიწოდების პირობები და ფასები) და უცვლელია ხელშეკრულებით განსაზღვრული საწვავის მიწოდების პერიოდში.

3. **ანგარიშსწორება**

3.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის და მისი ტრანსპორტირების ღირებულება ამ საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის ვადაში (საბოლოო ანგარიშწორება არაუგვიანეს 31 დეკემბრისა), შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.2 შემსყიდველის მხრიდან ანაზღაურება განხორციელდება ფაქტიურად მოწოდებული საქონლისა და ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.
3.3 ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი.
3.4 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო (საბანკო გადარიცხვა).
3.5 შემსყიდველის შეკვეთიდან ერთი სამუშაო დღის განმავლობაში მიმწოდებელი გამოუწერს შემსყიდველს ელექტრონულ ნავთობპროდუქტების სპეციალურ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას (შემდგომში - „ენსაფ“) მოთხოვნილი რაოდენობის საწვავზე. შემსყიდველი ვალდებულია საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით, ასევე ელექტრონულად მოახდინოს „ენსაფ“-ის დადასტურება არაუგვიანეს მისი ელექტრონულად გამოწერის დღისა, რის შემდეგაც განხორციელდება საწვავის ადგილზე ტრანსპორტირება და შემსყიდველისათვის მიწოდება/გადაცემა. შემსყიდველს არც ერთი საფუძვლით არ შეუძლია სადავო გახადოს მისი მხრიდან შესაბამისი „ენსაფ“-ის ელექტრონულად დადასტურების ფაქტი, ვინაიდან შესაბამის ელექტრონულ საშუალებებთან წვდომა გააჩნია მხოლოდ შემსყიდველს, „ენსაფ“-ის ელექტრონულად დადასტურების პროცესი არ კონტროლდება მიმწოდებლის მიერ და შემსყიდველი თავად განსაზღვრავს იმ პირის ვინაობას, რომელიც უშუალოდ მოახდენს შემსყიდველის მხრიდან „ენსაფ“-ის ელექტრონულად დადასტურებას.

4. სტანდარტები

4.1. ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს: "საავტომობილო ბენზინის ხარისხობრივი ნორმების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 31 დეკემბრის №124 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. საპატენტო უფლებები

5.1 საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს:
6.1.1. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლის მიერ გამოყოფილი პირ(ებ)ი – შეკვეთის მიცემის, შესრულების ვადების, მიწოდების ადგილის, მიღება-ჩაბარებისა და საქონლის ხარისხის, რაოდენობის (მოცულობის) კონტროლის საკითხებზე;
6.1.2. სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის მიერ გამოყოფილი პირ(ებ)ი – 6.1.1 ქვეპუნქტით გაუთვალისწინებელ საკითხებზე.
6.2. კონტროლი განხორციელდება შემდეგი ფორმებით:
6.2.1. ხელშეკრულების და/ან შეკვეთის პირობებთან მიწოდებული საქონლის ხარისხისა და რაოდენობის (მოცულობის) შესაბამისობის შემოწმება ოზომვითი, ტექნიკური ან/და დოკუმენტური მეთოდით;
6.2.2. საქონლის მიწოდების შეთანხმებული ვადების და რაოდენობის (მოცულობის) დაცვის მონიტორინგი;
6.3. კონტროლი ხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, საქონლის მიღებისას, აგრეთვე მიღების შემდეგ, მათ შორის, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების არსებობის პერიოდში.
6.4. კონტროლის განხორციელების ადგილია: საქონლის მიწოდების ადგილი და სხვა ნებისმიერი ადგილი შემსყიდველის არჩევანის მიხედვით.
6.5. კონტროლისა და ინსპექტირებისას მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 22-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები.

7. საქონლის მიწოდების პირობები

7.1. მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით, საავტომობილო ტრანსპორტის გამოყენებით უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებას დანართი №1-ით განსაზღვრულ ვადებში და ადგილზე, მოთხოვნის შესაბამისად.

7.2. მიმწოდებლის ნავთობპროდუქტების ბაზაში ხარისხის კონტროლის მიზნით ჩატარებული შემოწმების ხარჯებს, რაც გულისხმობს საწვავის სინჯ(ებ)ის ლაბორატორიულ კვლევას, პირველ ეტაპზე გაიღებს შემსყიდველი. ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, შემსყიდველისა და მიმწოდებელის წარმომადგენლები მოახდენენ საწვავის სინჯების აღებას (მიმწოდებლის ნავთობპროდუქტების შესანახ ბაზაში არსებული რეზერვუარიდან). ყველა სინჯი ილუქება ერთობლივად მიმწოდებლის და შემსყიდველის მიერ, რის შემდეგაც სინჯები იგზავნება ექსპერტიზისათვის საამისოდ უფლებამოსილ (ლიცენზირებულ) ორგანოში (ლაბორატორიაში), ხოლო თითო სინჯი რჩებათ მხარეებს. პირველად აღებული სინჯ(ებ)ის უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს ყოველი შემდგომი სინჯ(ებ)ის ლაბორატორიული კვლევა, კერძოდ: შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირ(ებ)ის (6.1.1 პუნქტით გათვალისწინებული პირ(ებ)ი) თანდასწრებით აიღოს სინჯ(ებ)ი საკუთარ ნავთობპროდუქტების ბაზაში, დალუქოს სინჯ(ებ)ი და გადააგზავნოს ლაბორატორიულ კვლევაზე 6.1.1 პუნქტით განსაზღვრული პირ(ებ)ის მიერ მითითებულ ლაბორატორიაში. სინჯის აღებიდან საწვავის გატანამდე შესაბამისი რეზერვუარი უნდა იყოს დალუქული.

7.3. საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, გამოსაკვლევი სინჯ(ებ)ის დადებითი ლაბორატორიული დასკვნის მიღების დღიდან 2016 წლის 01 იანვრამდე, ხელშეკრულების 6.1.1. პუნქტში მითითებული პირ(ებ)ის მოთხოვნის შესაბამისად.

7.4. თუ მიმწოდებელი 2016 წლის 01 იანვრამდე ვერ დაიწყებს დადებითი ლაბორატორიული დასკვნის მქონე საქონლის მიწოდებას, ხელშეკრულება შეწყდება ცალმხრივად 14.1 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად და მიმწოდებელი დაჯარიმდება მე-13 მუხლით განსაზღვრული პირობების შესაბამისად (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საწვავის მიუწოდებლობა/დაგვიანებით მიწოდება არ არის გამოწვეული მიმწოდებლის ბრალით).

7.5 საქონლის მიღება განხორციელდება შემსყიდველის საწვავ-საპოხი მასალების ბაზებში დანართი №1-ით განსაზღვრულ ადგილებზე, მოთხოვნის შესაბამისად.

7.6 მიმწოდებელი ვალდებულია, საქონლის ან ყოველი პარტიის მიწოდებისას წარადგინოს ხელშეკრულებით და კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაცია.

7.7 სინჯის აღებიდან საწვავის გატანამდე შესაბამისი რეზერვუარი უნდა იყოს დალუქული.

8. ხარისხი

8.1.საქონლის ან ყოველი მისი პარტიის ტექნიკური მახასიათებლები და ხარისხი ერთდროულად უნდა შეესაბამებოდეს ამ ხელშეკრულებისა და ხელშეკრულებაზე თანდართულ ხარისხის შესაბამისობის სერტიფიკატის მოთხოვნებს.

9. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

9.1. მიმწოდებლის მიერ საქონლის გადაცემა და შემსყიდველის მიერ მისი მიღება დასტურდება ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების (შემსყიდველის მხრიდან 6.1.1. პუნქტში მითითებული პირ(ებ)ის) მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

9.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემთხვევაში, საქონლის მიწოდების თარიღად ჩაითვლება შემსყიდველისათვის საქონლის ფაქტობრივად გადაცემის თარიღი.

9.3. შემსყიდველი უფლებამოსილია, განაცხადოს უარი საქონლის ან მისი ნაწილის მიღებაზე და მათ ანაზღაურებაზე, თუ:

9.3.1. იგი უხარისხოა (მათ შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის შეუსაბამო); ან/და

9.3.2. მიწოდებულია ხელშეკრულებაში ან/და მოთხოვნაში (შეკვეთაში) მითითებულ რაოდენობაზე მეტი ოდენობით (ნამეტის ფარგლებში); ან/და
9.3.3. მიწოდებულია ხელშეკრულებაში ან/და მოთხოვნაში (შეკვეთაში) მითითებულ რაოდენობაზე ნაკლები; ან/და
9.3.4. სრული მოცულობით არ არის წარმოდგენილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია; ან/და
9.3.5. ხარვეზების გამოსწორება შეუძლებელია; ან/და
9.3.6. კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
9.4. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე, ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს და რისკები მისი შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან სხვა ზიანზე ეკისრება მიმწოდებელს, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.
9.5. საქონლის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
9.6. მიმწოდებელი ვალდებულია, გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის) საქონელი.

10.უფლებების გადაცემა

10.1. დაუშვებელია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების მთლიანად ან ნაწილობრივ სხვა პირისთვის გადაცემა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებას, რომლის გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში, უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება ამ გარემოებებთან დაკავშირებით.
11.2. თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით. შეთანხმების შემთხვევაში გადავადებულ პერიოდზე მხარეს არ დაეკისრება პირგასამტეხლო.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
12.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
12.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია თავდაპირველად დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% მეტი ოდენობით გაზრდა.
12.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობით, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12.6. ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანის დოკუმენტს ხელს აწერენ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1.მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს, წინასწარი შეტყობინების გარეშე, დაეკისრება შემსყიდველისათვის შემდეგი ოდენობის პირგასამტეხლოს გადახდა:

13.1.1. საქონლის მიუწოდებლობისათვის (მათ შორის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, უხარისხო, არასრული მოცულობით, საჭირო დოკუმენტაციის გარეშე) მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0,2% ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე, მაგრამ არაუმეტეს მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 2%-ისა.

13.2. პირგასამტეხლოს დარიცხვის მიუხედავად, შემსყიდველი უფლებამოსილია:

13.2.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით, შეწყვიტოს ან შეინარჩუნოს ეს ხელშეკრულება;

13.2.2. მიღება-ჩაბარების აქტი გააფორმოს საქონლის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც შეესაბამება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ხოლო საქონლის იმ ნაწილზე, რომელიც არ შეესაბამება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს დაარიცხოს პირგასამტეხლო 13.1.1. ქვეპუნქტის შესაბამისად;

13.3. შემსყიდველის მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურების შეთანხმებულ ვადაში მიმწოდებლისათვის გადაუხდელობის შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება მიმწოდებლისათვის პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე გადაუხდელი თანხის 0,2%-ის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს გადაუხდელი თანხის 2%-ისა.

13.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისგან.

13.5.თუ ხელშეკრულების შეწყვეტის ან მოქმედების ვადის გასვლის გამო დღეების მიხედვით პირგასამტეხლოს დარიცხვა ვერ ხორციელდება ან დარიცხული პირგასამტეხლოს ჯამი იქნება ხელშეკრულების ღირებულების 2%-ზე ნაკლები, მიმწოდებელს დაეკისრება მხოლოდ ფიქსირებული პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ეს ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;

ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად, თუ მეორე მხარე არ/ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, რის თაობაზეც ამ მეორე მხარეს წერილობით მიეცა გაფრთხილება და ამ დარღვევის გამოსასწორებლად მიეცა დამატებითი ვადა არანაკლებ 5 დღის ოდენობით. ამასთან, დამატებითი ვადა შეიძლება არ მიეცეს, თუ აშკარაა, რომ მას შედეგი არ ექნება, ან ვალდებულების არ ან არაჯეროვნად შესრულების გამო შეწყვეტის ინიციატორ მხარეს ხელშეკრულების საგნისადმი ინტერესი ეკარგება, ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

14.2. ხელშეკრულების შეწყვეტა (მათ შორის, ვადის გასვლის გამო შეწყვეტა) არ ათავისუფლებს მხარეებს:

ა) იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა ან/და მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებად გამოიყენება (ამ მოთხოვნის არსებობის პერიოდში);

ბ) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების ვალდებულებისაგან (ზიანის არსებობის შემთხვევაში).

14.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ფორს-მაჟორი

15.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის ფორს-მაჟორის შემთხვევაში, როდესაც ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეუძლებელია.

15.2. „ფორს-მაჟორის" ქვეშ იგულისხმება გარემოება, რომლიც არ არსებობდა ამ ხელშეკრულების დადებისას და რომლის თავიდან აცილება, ან გადალახვა მხარეს არ შეეძლო, კერძოდ: საომარი მდგომარეობა/საბრძოლო მოქმედება, წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი, ავარია, გაფიცვა, ეპიდემია, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირება და სხვა მსგავსი გარემოებანი.

15.3. მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ (ფორს-მაჟორის დადგომიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა) აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებადობის შესახებ. შეუტყობინებლობის ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორის არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს. შეტყობინებაში მითითებული ფორს-მაჟორის ფაქტი უნდა დადასტურდეს.

15.4. ფორს-მაჟორის მიუხედავად მხარე, რომლისთვისაც ნაკისრი ვალდებულების შესრულება შეუძლებელი ხდება, კეთილსინდისიერებისა და გონიერების ფარგლებში, მიმართავს ვალდებულების შესრულების ყველა შესაძლო ალტერნატიულ ხერხს.

15.5. თუ ფორს-მაჟორული მდგომარეობა 30 დღეზე მეტ ხანს გრძელდება, მაშინ მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება.

15.6. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას ფორს-მაჟორული სიტუაციის დასრულებიდან, იმ დროს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, შესაბამის გონივრულ ვადებში უზრუნველყონ ფორს-მაჟორის დადგომამდე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1. მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის ამ ხელშეკრულებასა ან მის განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სადაო საკითხი მოლაპარაკების მეშვეობით მოაგვარონ.

16.2. თუ სადავო საკითხი მოლაპარაკებით ვერ მოგვარდა, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს საქართველოში.

17. გადასახადები და დაბეგვრა

17.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

18. შეტყობინება

18.1. თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების ფარგლებში ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა წარმოებს წერილობითი ფორმით და იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით ან მიეწოდება უშუალო ადგილსამყოფლის მიხედვით. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

18.2. შემსყიდველის მიერ შეტყობინება მიწოდებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ მან შეტყობინება გაგზავნა მიმწოდებლის ყოფილ მისამართზე, რომელიც მიმწოდებელმა შეცვალა, მაგრამ ამის თაობაზე არ აცნობა შემსყიდველს. ამ შემთხვევაში შეტყობინება მიწოდებულად ითვლება გაგზავნის მეორე სამუშაო დღეს.

19. სხვა პირობები

19.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 01 თებერვლამდე.

19.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის სამუშაო დღე არის კალენდარული დღე შაბათის, კვირის და განსაზღვრული უქმე დღეების გარდა.

19.3. ხელშეკრულების დანართ(ებ)ი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

19.4. ყველა სხვა საკითხი რაც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

19.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 4 (ოთხი) ეგზემპლარად.

შემსყიდველის მხრიდან	მიმწოდებლის მხრიდან
თ. ნასარიძე	ვ. ხორავა
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი	სს "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"-ს გენერალური დირექტორი

დანართი №1

2015 წლის "21" დეკემბერი" № 825 ხელშეკრულებასთან

საქონლის დასახელება, მიწოდების პირობები და ფასები

№	საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები	რაოდენობა (ლიტრი)	წარმოშობის ქვეყანა	ერთეულის ფასი დღგ-ს ჩათვლით ტრანსპორტირების გარეშე (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)	ტრანსპორტირების ღირებულება დღგ-ს ჩათვლით ერთ ლიტრზე/ლარი	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადები
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	ევრო რეგულარი	აი 92	100,000	ბულგარეთი	1.50	150,000	0.03	მიწოდების ადგილები იქნება შემსყიდველის არსებული ბაზები, შემდეგ ქალაქებში: თბილისი, ხაშური და ქუთაისი.	ხელშეკრულების მე-8 მუხლის გათვალისწინებით, 2016 წლის 01 იანვრამდე, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.
						სულ: 150,000			

შემსყიდველის მხრიდან

თ. ნასარიძე

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს
სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

მიმწოდებლის მხრიდან

ვ. ხორავა

სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"-ს
გენერალური დირექტორი